მატჩი სტუმრად - ფრე

”არარატი” (ერევანი) – ”დინამო” (თბილისი) 1:1 (1:1).

ერევანი. ”რაზდანის” სტადიონი. 8 ნოემბერი.

”არარატი”: ვასილიევი, სააკიანი, ქეროფიანი, აშ. ხაჩატრიანი (მითრიანი), რაფ. გალუსტიანი, პ. გალუსტიანი, სარქისიანი (ნ. პეტროსიანი), ოჰანესიანი, ყასაბოღლიანი, მელიქიანი, რობ. გალუსტიანი.

”დინამო”: გაბელია, ანდღულაძე, ჩივაძე, პაიკიძე, კუდინოვი, ჯოხაძე, სვანაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი (არზიანი), ცავა (მესხი), შენგელია.

მსაჯი: კ. დორონინი (მოსკოვი).

დუბლიორები - 0:0.

თბილისელ და ერევნელ ფეხბურთელთა შეხვედრები მუდამ გამოირჩევა მათდამი დიდი ინტერესით, უშეღავათო ბრძოლით, ამჯერადაც, როცა მატჩს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის 45-ე საფეხბურთო ჩემპიონატის ფინიშზე, გამონაკლისი არ ყოფილა: მეტოქეებმა ძალების სრული დაძაბვით ითამაშეს.

”არარატს” ამ ტურისათვის გარკვეული შანსი ჰქონდა ებრძოლა საპრიზო ადგილისათვის, ამიტომ გუნდმა არ დაიშურა არაფერი წარმატების მისაღწევად, მით უმეტეს, რომ დინამოელთა შემადგენლობაში ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელები იყვნენ. არ თამაშობდნენ გუცაევი, ხინჩაგაშვილი, დარასელია, ხიზანიშვილი, მუჯირი და სხვანი, რომელთა შემცვლელებს ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ ტრადიციულად ძნელ მეტოქესთან საბრძოლველად.

ერევანში 8 ნოემბერს მოულოდნელად მოთოვა, ”რაზდანის” დირექციამ დიდი შრომა გასწია თოვლის საფარველისგან რომ გაეწმინდა მწვანე მინდორი. თამაში ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ძნელი იყო.

სტუმრებმა მატჩის დასაწყისში მიაღწიეს წარმატებას: მე-4 წუთზე შეცდა ერევნელთა ერთ-ერთი მცველი, ბურთი ჩაიგდო შენგელიამ, დრიბლინგით გასცდა მეკარე ვასილიევს და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში - 1:0.

ასეთი დასაწყისის შემდეგ დინამოელებმა კიდევ რამდენიმე იერიში განახორციელეს, მეორე ბურთის გატანის შესაძლებლობა ჰქონდა შენგელიას, წინა ხაზის მოთამაშეებს ხშირად ეხმარებოდნენ სულაქველიძე, ჯოხაძე. ერთი სიტყვით, მასპინძლებმა ვერ შეძლეს უპირატესობის ხელში აღება.

მაგრამ 27-ე წუთზე შეცდნენ დინამოელთა მცველებიც, ჯოხაძემ მაშინ მიაწოდა უკან ბურთი გაბელიას, როცა ის საჯარიმო მოედნის ხაზთან იყო გამოსული და სტუმრების კარში მოულოდნელი გოლი გავიდა - 1:1.

შესვენების შემდეგ თამაში კიდევ უფრო დაიძაბა, ”არარატის” ერთ-ერთი იერიშისას ბურთი თბილისელთა კარის ძელს მოხვდა, შემდეგ მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე შეიჭრა შენგელია, მის წინააღმდეგ კი აშკარად უხეშად ითამაშეს...

მიუხედავად ორივე გუნდის მრავალი ცდისა, ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა, მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

”ლელო”, 10 ნოემბერი, 1982 წ.